

**ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებელი 040669  
პროფესიული სტანდარტი**

**I სფეროს აღწერა:**

ჰიდროტექნიკური მშენებლობა მიეკუთვნება ჰიდროინჟინერიის სფეროს და წარმოადგენს მშენებლობის ვრცელი დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სპეციფიურ ნაწილს. ახასიათებს განსხვავებული მიდგომები ტექნიკური კვლევებისა და პროექტირების, კონსტრუქციების გაანგარიშებებისა და გამოსაყენებელი მასალების გათვლების, სპეციფიკური ინჟინრული ღონისძიებებისა და გადაწყვეტილებების მიღების საკითხებში.

**II დასაქმების სფერო:**

მოცემული სტანდარტის მიხედვით მომზადებულ ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებელს შეუძლია დასაქმდეს ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის ფართო სფეროში.

**III. დამატებითი მოთხოვნები:**

- პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის პროფესიული სწავლება არის ორსაფეხურიანი ( IV და V) თითოეული საფეხურისთვის შემუშავებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის კვალიფიკაციათა აღმწერი ჰიდროტექნიკური

მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	აქვს: ჰიდროტექნიკური მშენებლობის სფეროში თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც ემყარება შემდეგი აუცილებელი საგნების შესწავლას: საინჟინრო ხაზვა, სამშენებლო მასალები, გეოდეზია, თეორიული მექანიკა, მასალათა გამძლეობა. იცნობს ჰიდროტექნიკური ნაგებობების საშუალო სირთულის კონსტრუქციებს. აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს და შეუძლია დასმული პროფესიული ამოცანების გადაწყვეტა.
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია: სამუშაოს დაგეგმვის, დაპროექტებისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს დარგის თანამედროვე მიღწევები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესასრულებელი სამუშაოს გასაუმჯობესებლად.
<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია: სპეციფიკური პროფესიული ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	აქვს უნარი: ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაციის თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის სრულფასოვანი გამოყენების; ჯგუფური მუშაობის პრინციპების გამოყენებით ეფექტურად მუშაობის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	აქვს უნარი: ახალი ინფორმაციის მოპოვების; მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების. გამოყენების შემთხვევაში არგუმენტირებული დასაბუთების.
<b>ღირებულებები</b>	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი

		<p>განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი. პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად. სათანადოდ აფასებს ჰიდროტექნიკოს შშენებელთა ეთიკის ნორმებს. აქვს საქმიანი დამოკიდებულება ხელმძღვანელთან და კოლეგებთან. აცნობიერებს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებებს. იცნობს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმებს და პატივს სცემს მათ. აქვს პროფესიული პროცესების დამოუკიდებელი მართვის ნაწილობრივი უნარი.</p>

ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და აცნობიერება</b></p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს ჰიდროტექნიკურ მშენებლობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. იცის სამშენებლო კონსტრუქციები და მათი წარმოების ტექნოლოგიები, სამშენებლო მანქანები და მექანიზმები. ჰიდრორესურსების, ჰიდროლოგიისა და ჰიდრაულიკის საკითხები. გათავისებული აქვს მენეჯმენტის სპეციფიკური საკითხები.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში. შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება ტექნიკური ხასიათის აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; პროექტირება და სათანადო გათვლების გაკეთება.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>აქვს უნარი: ჰიდროტექნიკური მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური დასკვნების გაკეთების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრვა და დასახვის; მატერიალური საჭიროებებისა და მათი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი რესურსების განსაზღვრის; სამეწარმეო პროექტის შემუშავების პირობების განსაზღვრის.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და</p>	<p>აქვს უნარი; ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით პროფესიული კომუნიკაციის როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების; ჯგუფური მუშაობის პირობებში ეფექტური</p>

	<p>რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>კომუნიკაციის ; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების. შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხიანი ინფორმაციის გამოყენებით.</p>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>აქვს უნარი: ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების, ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საჭიროების ანალიზისა და მიღების. შეუძლია მომავალი სწავლა-განათლების მიმართულებების განსაზღვრა უახლესი ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, გათავისება და განვრცობა.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი და იცავს მათ; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება საერთო საქმეზე პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი. პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების პროფესიონალიზმისადმი და მათადმი ნდობა; გარემოს დაცვისა და სამშენებლო პროცესების უსაფრთხოების ნორმებისადმი პროფესიული დამოკიდებულება და იცავს მათ; პროფესიული საქმიანობისადმი ერთგულება; პროფესიული ინიციატივისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი. გათავისებული აქვს პროფესიული შესაძლებლობების გამოიყენების მნიშვნელობა თეორიასა და პრაქტიკაში. იყენებს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრს. შეუძლია პროექტირება და სათანადო გათვლების განხორციელება. აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობის ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. იცავს გუნდური მუშაობის პრონციპებს, წარმართავს საქმიან ურთიერთობებს.. იცავს უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. აქვს ადამიანური ურთიერთობების კულტურა და აფასებს მას.</p>